

ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი



# ტენდერი ტურისტულ- რეკრეაციული ზონის შემუშავებაზე

---

ხულოს მუნიციპალიტეტში ახალი ტურისტულ-  
რეკრეაციული ზონების აღწერა

შემსრულებლები:  
რუსუდან ვარშალომიძე, სალომე ფხალაძე, ია იაკობაშვილი

2021

## სარჩევი

ხულოს მუნიციპალიტეტის ზოგადი აღწერა	2
სახალხო დღესასწაულები საკვლევ სოფლებსა და მიმდებარე ტერიტორიებზე	3
ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელებული ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლები	4
1. უჩხო	5
1.1 უჩხო - საყორნიას ჩანჩქერი	5
1.2 უჩხოს იალაღები	7
2. კორტოხი	10
2.1 კორტოხის სამრეკლო	10
2.2 კორტოხის ჩხრიალოს ჩანჩქერი	12
3. ფუმრუკაული	14
3.1 ფუმრუკაულის ჩანჩქერები	14
4. ბაკო	16
4.1. ბაკოს საჩხერელას ჩანჩქერი	16
მარშრუტი #1: ბაკო-საჩხერელას ჩანჩქერი-ბაკო	16
მარშრუტი #2: ბაკო - საჩხერელას ჩანჩქერი - მთისუბანი - ბაკო	17
მარშრუტი #3: ბაკო - საჩხერელას ჩანჩქერი - მთისუბანი - თხილვანა	18
დასკვნა	20

## ხულოს მუნიციპალიტეტის ზოგადი აღწერა

ხულოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტია. იგი განლაგებულია არსიანისა და მესხეთის ქედების კალთებზე, ზღვის დონიდან მუნიციპალიტეტი მთაგორიანია, განფენილობა ზღვის დონიდან 400–3007 მეტრის სიმაღლეზე ვრცელდება. უმაღლესი წერტილია არსიანის ქედზე მდებარე მთა ყანლი.

ხულოს მუნიციპალიტეტის ფართობი 710 კმ<sup>2</sup>- ია. მას ჩრდილოეთით ესაზღვრება ჩოხატაურის, აღმოსავლეთით – ადიგენის, დასავლეთით – შუახევის მუნიციპალიტეტები, სამხრეთით კი თურქეთის რესპუბლიკა.

ტერიტორია დანაწევრებულია მდინარეთა ღრმა ეროზიული ხეობებით. დამახასიათებელია მეწყერები, ზვავები, სელიური ნაკადები. ქედების თხემურ ნაწილებში არსებობს მოსწორებული ზედაპირები, შთენილი კლდოვანი ფორმები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიედინება შემდეგი მდინარეები: აჭარისწყალი, სხალთა, ღორჯომი, დიაკონიძეები და სხვ. ტბებიდან კი ვხვდებით მწვანე ტბას, შავ ტბას, ოწინარეს ტბას, შუამთის ტბებს.

მუნიციპალიტეტის არეალში უმთავრესად გავრცელებულია ტყის ყომრალი და ღიაყომრალი ნიადაგები, რაც შეეხება მუნიციპალიტეტის სუბალპურ და ალპურ ზონებს, აქ უმთავრესად გვხვდება მთის მდელოს კორდიანი და კორდიან–ტორფიანი ნიადაგები.

შუა სარტყელის ტყეებში (500–600 მ–დან 1200–1500 მ–მდე) უმთავრესად ჭარბობს მუხა, რცხილა, წაბლი, ფიჭვი, ხოლო ბუჩქნარებიდან და ბალახეულიდან უმთავრესად გავრცელებულია სიმშრალის მოყვარული ფორმები. ტყეში უხვად გვხვდება შერეული ხეხილი (ვაშლი, მსხალი, კაკალი, ტყემალი, ხურმა).

მუნიციპალიტეტის ზემოსარტყლის ტყეები (1200–დან 2100მ ზღვის დონიდან) შექმნილია უმთავრესად ნამკნარ–სოჭნარ–ფიჭვნარს მოიცავს, აღმოსავლეთ ნაწილში კი შერეულია კავკასიური ფიჭვი, არყნარები. ქვეტყეში უხვადაა შქერი, წყავი, მოცვი, ასკილი, უფრო ზემოთ, სუბალპურ ტყეებში შეიმჩნევა ბალახეულობა და მდელოები, მთების თხემოვან ნაწილებში ალპური მდელოებია.

აღსანიშნავია, რომ ხულოს მუნიციპალიტეტს ტურიზმის განვითარებისათვის გააჩნია მნიშვნელოვანი წინაპირობები ისტორიული ძეგლების, ტრადიციების, საკურორტო ადგილებისა და სხვა რესურსის სახით. თუმცა მათი პოპულარიზაციისთვის აუცილებელ წინაპირობას მიმდებარე ტერიტორიებზე საბაზისო ინფრასტრუქტურის

მოწყობა წარმოადგენს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება აღნიშნული კვლევის ფარგლებში ხულოს მუნიციპალიტეტის ოთხი სოფლის (უჩხოს, კორტოხი, ფუმრუკაულისა და ბაკოს) ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის კვლევა.

## სახალხო დღესასწაულები საკვლევ სოფლებსა და მიმდებარე ტერიტორიებზე

დასახელება	აღწერა	ჩატარების თარიღი	ჩატარების დრო
სელიმობა	ეძღვნება სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილის ხსოვნას, ეწყობა ადგილობრივი პროდუქციის გამოფენა-ბაზრობა, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა, ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი	ბაკიბაკო	3 ივნისი
ტბელობა	ეძღვნება XII-XIII საუკუნეების მეცნიერ-ასტრონომის, ტბელ აბუსერისძის ხსოვნას. ეწყობა ადგილობრივი პროდუქციის გამოფენა-ბაზრობა, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა, ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი	სხალთა, ხიხაძირი, თხილვანა	აგვისტოს პირველი შაბათ-კვირა
სარიჩაობა	იმართება დოღი	მთა სარიჩაირის იალაღები	4-5 აგვისტო

## ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელებული ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლები

### ფაუნა

#	დასახელება
1	კავკასიური ირემი
2	ფულუ
3	კავკასიური რუხი დათვი
4	ბეგობის არწივი
5	დურაჯი
6	კავკასიური შურთხი
7	მცირეაზიური ტრიტონი
8	კავკასიური სალამანდრა

### ფლორა

#	დასახელება
1	სამეფო გვიმრა
2	უთხოვარი
3	ქართული ნეკერჩხალი
4	არმაზის ნარჩიტა
5	ხარიშუბლა
6	უხრავი
7	ჩვეულებრივი ხურმა
8	სმირნოვის შქერი
9	წაბლი
10	მაღალმთის მუხა
11	კაკლის ხე
12	აჭარის კურდღლიცოცხა
13	კოლხური ყოჩივარდა
14	ფურისულა
15	ვერხვი
16	კოლხური ჯონჯოლი
17	ქართული თელა
18	ძელქვა
19	წივანა

## 1. უჩხო

სოფელი უჩხო ზემო აჭარაში, მესხეთის ქედის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს, ხულოს ადმინისტრაციული ცენტრიდან 7 კმ-ში. ამჟამად უჩხოში დაახლოებით 90 კომლი ცხოვრობს. ადგილობრივები სოფლის ეტიმოლოგიას ვენახთან აკავშირებენ, კერძოდ კი ისეთ ჯიშთან, რომელსაც ჩხა არ ქონდა („უ“ ანუ გარეშე)

სოფელში დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი უძველესი საქარავნო გზა გადიოდა, რომელიც ამავდროულად გურია-აჭარის დამაკავშირებელი უმოკლესი მარშრუტიც იყო. სოფელში ციხისყელის სერზე ასევე არის ბეგოშვილების ციხე, რომელიც მე-12 საუკუნით თარიღდება, მდინარის ხეობაში კი საყორნიას ჩანჩქერების გარდა კიდევ **6 ჩანჩქერია**, სადამდე მისასვლელი სალაშქრო ბილიკები პრაქტიკულად არ არსებობს და მოწყობას საჭიროებს.

სოფლის ჩრდილოეთ მხარეს საზაფხულო სამოვრებზე შესაძლებელია აგრო-ტურის მოწყობა თემით დაინტერესებული მოგზაურებისათვის. მათ შეეძლებათ ადგილობრივ ფერმერებთან ერთად მოუარონ შინაურ ცხოველებს, საკუთარი ხელით დაამზადონ მაღალმთიანი აჭარისთვის დამახასიათებელი რძის პროდუქტები, იმუშაონ მიწაზე, გაეცნონ სოფლად შემორჩენილ წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებს.

### 1.1 უჩხო - საყორნიას ჩანჩქერი

მუნიციპალიტეტი: ხულო

მარშრუტის სახეობა: სათავგადასავლო

მარშრუტის ტიპი (ველო, საფეხმავლო, კომბინირებული, off-road): საფეხმავლო, კანიონი

კატეგორია (წრიული, გამჭოლი, ხაზოვანი): წრიული

გზის სახეობა: სასოფლო გრუნტის, საფეხმავლო

მარშრუტის სირთულე (მარტივი, საშუალო, რთული): საშუალო

სამოგზაურო პერიოდი: აპრილი-ოქტომბერი

მარშრუტის სიგრძე (კმ): 6,6 კმ

მარშრუტის ხანგრძლივობა: 3 სთ

სიმაღლე ზღვის დონიდან (მ): საწყისი/უმაღლესი/საბოლოო: 946/1292/946

მარშრუტის ღირსშესანიშნაობები: თამარის ხიდი, უჩხოს მეჩეთი, ბეგოშვილების ციხე, საყორნიას ჩანჩქერი, მდ. უჩხოსწყლის კანიონი

არსებული ინფრასტრუქტურა: სოფ. უჩხოში არის საოჯახო სასტუმრო

მობილური ზონის დაფარვა: კი/არა: კი

მარკირებული: კი/არა: არა

## მარშრუტის აღწერა:

მარშრუტი იწყება მდ. უჩხოსწყალზე ზღ.დ. 946 მ-ზე აგებული თამარის თაღოვანი ხიდიდან, რომელიც XI-XIII საუკუნეებით თარიღდება და აგებულია ადგილობრივი კირქვისგან. მარშრუტი ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით მიუყვება 1.3 კმ მანძილზე მიუყვება ბეტონის სამანქანო გზას. სამანქანო გზის დასრულების შემდეგ, ზღ.დ. 1072 მ-ზე, პირველი ხიდიდან იწყება საცალფეხო ბილიკი, რომელიც ჯერ მიუყვება მდინარის ხეობას მარცხენა ნაპირს, ხოლო 230 მეტრის გავლის შემდეგ მეორე ხიდზე გადავლის შედეგად ვექცევით მდინარის ხეობის მარჯვენა ნაპირზე. ხეობაში შერეული ტყის კორომები გვხვდება, გავრცელებულია წაბლი, კაკალი, რცხილა, წიფელი, თხმელა, ნამვი, სოჭი, ქვე-ტყე კი წარმოდგენილია შქერისა და წყავის ბუჩქებით. ცხოველებიდან კი მიმდებარე ტერიტორიებზე გავრცელებულია გარეული ღორი, შველი, დათვი, მგელი, ტურა, მელა, კურდღელი.

მცირე აღმართის გავლის შემდეგ, მეორე ხიდიდან 700 მეტრში, ბილიკი აღმოსავლეთით უხვევს და მალევე ვხედავთ საყორნიას პირველ ჩანჩქერს ზღ.დ. 1192 მ-ზე.

ჩანჩქერის ნახვის შემდეგ ვუბრუნდებით მთავარ ბილიკს, მივუყვებით მკვეთრ აღმართს, რომელიც მუქწიწვოვანი ხეებითაა დაფარული, 280 მეტრის ავლის შემდეგ იშლება პანორამული ხედები შავშეთისა და არსიანის ქედებზე. ფერდობის თხემიდან ბილიკი ჩრდილოეთის მხარეს ტყეში უხვევს, მკვეთრ დაღმართზე ვკარგავთ დაახლოებით 20 მეტრს და მივუყვებით მდინარის მარჯვენა ნაპირს. მალევე გამოჩნდება საყორნიას მეორე ჩანჩქერი, რომელიც ზღ.დ. 1277 მ-ზეა დაახლოებით 12 მეტრი სიმაღლისაა. უშუალოდ ჩანჩქერამდე მისასვლელად საჭიროა მდინარის გადაკვეთა. საყორნიას ჩანჩქერთან მოწყობილია საპიკნიკე სივრცე.

მეორე ჩანჩქერის ნახვის შემდეგ იმავე გზით ამოვდივართ პანორამასთან და მოძრაობას ვაგრძელებთ დასავლეთით. მცირე აღმართის შემდეგ ბილიკი კვლავ წიწვოვან ტყეში შედის, ნელ-ნელა ვკარგავთ სიმაღლეს და საფეხმავლო ბილიკიდან გადმოვდივართ სოფლის გრუნტის გზაზე, საიდანაც ტურისტს შეუძლია პანორამული ხედებით ტკბობა. 1კმ-ის გავლის შემდეგ ვდგებით ბეტონის სამანქანო გზაზე.

სოფ. უჩხოში მდებარეობს საოჯახო სასტუმრო, რაც ტურისტს საშუალებას აძლევს, დარჩეს სოფელში, გაეცნოს ადგილობრივ ტრადიციებს და დააგემოვნოს ზემო აჭარის ტრადიციული სამზარეულო.

სურვილის შემთხვევაში ტურისტებისთვის ხელმისაწვდომია კანიონის ტური, რომელსაც ადგილობრივი გადამზადებული გიდები უზრუნველყოფენ. ჩანჩქერებზე კანიონინგის ფედერაციის მიერ მოწყობილია კანიონინგისთვის საჭირო სამაგრები.

სერვისი	საკონტაქტო პირი	საკონტაქტო ნომერი
კანიონინგი / საფეხმავლო გამყოლი	აკაკი კომახიძე	598095042
	ზაურ კომახიძე	557432397
საოჯახო სასტუმრო	გურამ ბოლქვაძე	598094889
საკალმახე	როლანდ დეკანაძე	577116557

## 1.2 უჩხოს იალაღები

მუნიციპალიტეტი: ხულო

მარშრუტის სახეობა: სათავგადასავლო, აგრო ტურიზმი.

მარშრუტის ტიპი (ველო, საფეხმავლო, კომბინირებული, off-road): საფეხმავლო, off-road, კანიონინგი

კატეგორია (წრიული, გამჭოლი, ხაზოვანი): ხაზოვანი

გზის სახეობა: სასოფლო გრუნტის, საფეხმავლო ბილიკი

მარშრუტის სირთულე (მარტივი, საშუალო, რთული): მარტივი

სამოგზაურო პერიოდი: აპრილი-ოქტომბერი

მარშრუტის სიგრძე (კმ): 16.4 კმ

მარშრუტის ხანგრძლივობა: 5 სთ და 30 წთ

სიმაღლე ზღვის დონიდან (მ): საწყისი/უმაღლესი/საბოლოო: 1012/1635/1012

მარშრუტის ღირსშესანიშნაობები: უჩხოს ზაფხულის სამოვრები (ე.წ. იაილები)

პანორამული ხედები არსიანის, მესხეთის, შავშეთის ქედებზე, გოდერძის

უღელტეხილსა და აჭარისწყლის ხეობაზე

არსებული ინფრასტრუქტურა: სოფ. უჩხოში არის საოჯახო სასტუმრო

მობილური ზონის დაფარვა: კი/არა: კი

მარკირებული: კი/არა: არა



მარშრუტი იწყება ზღვის დონიდან 1012 მეტრზე, უჩხოს ცენტრიდან და მიუყვება გრუნტის სამანქანო გზას ჯერ ჩრდილო-აღმოსავლეთის, ხოლო შემდეგ ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით.

მთელი გზის მანძილზე გვხვდება პანორამული ხედები არსიანის, მესხეთისა და შავშეთის ქედებზე, გოდერძის უღელტეხილსა და აჭარისწყლის ხეობაზე. ბილიკის სამხრეთი ნაწილი მუქწიწვოვანი ტყითა და შქერისა და წყავის ქვეტყით არის დაფარული.

2 კმ-ის გავლის შემდეგ მივადგებით სოფ. გუდასახოს გადასახვევს. გუდასახოს გადასახვევის შემდეგ გზა აღმართს მიუყვება და 2 კმ-ის შემდეგ გვხვდება სოფელი კურცხალი. სოფელში მუდმივი მოსახლეობა არ ცხოვრობს. კურცხალზე გავლით გრუნტის off-road გზით შესაძლებელია მოხვედრა კურორტ ბახმაროში.

სოფელ კურცხალიდან გზა გრძელდება ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, 1.7 კმ-ში კი გვხვდება სასმელი წყალი, საპიკნიკე ადგილი და მეჯოგეთა საზაფხულო სადგომები.

უჩხოს იალაღები განსაკუთრებულ მუხტს ზაფხულობით იძენს, როდესაც მეჯოგეთა სადგომები და პატარა ხის სახლები მოსახლეობით ივსება. იალაღებზე სტუმრობისას აუცილებლად დაგამახსოვრდებათ ბავშვები, რომლებიც მშობლებს საქონლის მოვლასა და გადარეკვაში ეხმარებიან, სადამოებით ათასგვარ თამაშს იგონებენ და მთის იალაღებს ხალისს მატებენ.

იალაღებზე საქონლის გადარეკვა საინტერესო პროცესია. სურვილის შემთხვევაში მეჯოგეებს შეგიძლიათ დახმარება შესთავაზოთ და დილით ადრე, მზის ამოსვლასთან ერთად მეჯოგეთა ყოველდღიურობის მონაწილე გახდეთ, რაც საშუალებას მოგცემთ ისეთის ადგილებიც მოინახულოთ, რომლებიც ტურისტული მარშრუტებზე არაა დატანილი.

უჩხოს იაილებზე XX საუკუნეში ქერსაც თესავდნენ, თუმცა ახლა, მხოლოდ ქოხების მიმდებარედ მიწის პატარა ნაკვეთები მუშავდება, სადაც მოსახლეობას პირადი მოხმარების ეკოლოგიურად სუფთა კარტოფილი და სხვადასხვა ბოსტნეული მოჰყავთ. იაილებზე ყოველდღიურად ამზადებენ ყველს, კარაქს, ყაიმაღს და რძის სხვადასხვა ნაწარმს. ადგილობრივი სამზარეულო ძალიან ნოყიერი და მრავალფეროვანია.

საზაფხულო სადგომებიდან გზის გაგრძელება შესაძლებელია მდ. უჩხოსწყლის სათავემდე. კანიონისა და ექსტრემალური ტურიზმის მოყვარულებს შეუძლიათ დაშვება მდინარის ხეობაში, სადაც სხვადასხვა სიმაღლის რამდენიმე ჩანჩქერი გვხვდება. ჩანჩქერებზე კანიონინგის ფედერაციის მიერ მოწყობილია კანიონინგისთვის საჭირო სამაგრები, ხოლო კანიონინგის ტურის მსურველებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ ადგილობრივ გადამზადებულ გიდებს.

სერვისი	საკონტაქტო პირი	საკონტაქტო ნომერი
კანიონინგი / საფეხმავლო გამყოლი	აკაკი კომახიძე	598095042
	ზაურ კომახიძე	557432397
საოჯახო სასტუმრო	გურამ ბოლქვაძე	598094889

## 2. კორტოხი

სოფ. კორტოხი დაბა ხულოდან 14.6 კილომეტრში, დიოკნისის თემში, აჭარისწყლის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. ეტიმოლოგიურად სოფლის სახელი შემადღებულ ადგილზე დასახლებას ნიშნავს. სამრეკლოს გარდა, სოფლის ტერიტორიაზე მდებარეობს ჩხრიალოს დიდი და პატარა ჩანჩქერები, 10 და 70 მ სიმაღლისა.

სოფელში შესვლისთანავე გრძნობ, რომ წინ საინტერესო თავგადასავალი გელის. როგორც კი ხულო-ადიგენის გზიდან გადაუხვევთ, სოფლის გზა სულ უფრო მაღლა და მაღლა ადის, სიმაღლის მატებასთან ერთად ლანდშაფტი იცვლება და გზა ხან წიწვოვან ტყეს მიუყვება, ხანაც უზარმაზარ კლდეებს გასდევს, პარალელურად ხედები იშლება აჭარისწყლის ხეობაზე.

სოფელს განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობა აქვს. რელიეფით მარტივად მიხვდები, რომ წინაპრებს სოფლის მდებარეობა შემთხვევით არ აურჩევიათ: მთა, რომელზეც სოფელი კორტოხია გაშენებული, ორ ხეობას შორის გუმბათივითაა აღმართული. შესაბამისად სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა კორტოხში არსებულ ისტორიული ძეგლს - სამრეკლოს ნანგრევებს.

კორტოხში წყალუხვი მდინარეები არ არის, მეტიც სასმელი და სარწყავი წყალი შორეული სოფლებიდან არის შემოყვანილი, თუმცა სეზონურად აქ არსებული ხევები მიწისქვეშა წყლებით, თოვლის ნადნობითა და ატმოსფერული ნალექებით ივსება, იკრიბება და სოფლის ქარაფებიდან ულამაზეს წყალვარდნილებად ეშვება.

მთის თავზე გაშენებულ სოფელში გულდია, ლალი, თავისუფალი და სტუმართმოყვარე ხალხი ცხოვრობს. ადგილობრივი მოსახლეობა მესაქონლეობითაა დაკავებული. მცირემიწიან სოფელში ნაკვეთების უმრავლესობა სათიბ-სამოვრებს უკავია, ზაფხულობით კი საქონელი იაილებზე გადაჰყავთ.

### 2.1 კორტოხის სამრეკლო

**მუნიციპალიტეტი:** ხულო

**მარშრუტის სახეობა:** სათავგადასავლო

**მარშრუტის ტიპი (ველო, საფეხმავლო, კომბინირებული, off-road):** საფეხმავლო, off-road

**კატეგორია (წრიული, გამჭოლი, ხაზოვანი):** ხაზოვანი

**გზის სახეობა:** სასოფლო გრუნტის, საფეხმავლო ბილიკი

**მარშრუტის სირთულე (მარტივი, საშუალო, რთული):** მარტივი

**სამოგზაურო პერიოდი:** წლის ნებისმიერი დრო

**მარშრუტის სიგრძე (კმ):** 7.4 კმ

**მარშრუტის ხანგრძლივობა:** 2 სთ და 50 წთ

**სიმაღლე ზღვის დონიდან (მ):** საწყისი/უმაღლესი/საბოლოო: 1285/1724/1285

**მარშრუტის ღირსშესანიშნაობები:** კორტოხის სამრეკლო ( ქილისეს ადგილი/თამარის ნაშენი) პანორამული ხედები მესხეთისა და შავშეთის ქედებზე, მდინარეების აჭარისწყლისა და ღორჯომის ხეობებზე, გოდერძის უღელტეხილზე

**არსებული ინფრასტრუქტურა:** ხულო-ახალციხის გზაზე, კორტოხის მეზობელ სოფელ ღურტაში არის საოჯახო სასტუმრო ოაზისი

**მობილური ზონის დაფარვა:** კი/არა: კი

**მარკირებული:** კი/არა: არა

### **მარშრუტის აღწერა:**

მარშრუტი იწყება კორტოხის ცენტრიდან ზღ.დ. 1285 მეტრზე და ჩრდილო-დასავლეთით მიუყვება გრუნტის სამანქანო გზას 2.6 კმ-ის მანძილზე. ზღ.დ. 1560 მ-ზე იწყება საფეხმავლო ბილიკი, რომლის გავლა ასევე შესაძლებელია მაღალი გამავლობის მანქანით. საფეხმავლო ბილიკზე ვხვდებით წიწვოვან ტყეს, რომელსაც შემდეგ ანაცვლებს სათიბ-სადოვრები. ცხოველებიდან კი მიმდებარე ტერიტორიებზე გავრცელებულია გარეული ღორი, შველი, დათვი, მგელი, ტურა, მელა, კურდღელი.

საფეხმავლო ბილიკზე მარშრუტის მთავარი ღირსშესანიშნაობაა ზღ.დ. 1724 მ-ზე მდებარე ისტორიული ძეგლი სამრეკლო, იგივე თამარის ნაშენი, რომელიც წარმოადგენდა აჭარისწყლის ხეობაში, ძველ საქარავნო გზაზე სტრატეგიულ პუნქტს და ემსახურებოდა მტრის შემოსევისას სიგნალის გადაცემას ჯერ მთა ჭანჭახიდან, შემდგომ კი ხიხანის ციხიდან შავი ზღვის სანაპირომდე. სამრეკლო შუა საუკუნეების ძეგლია და XII-XIII საუკუნეებით თარიღდება. სამრეკლომდე მისასვლელ გზაზე გადმოცემის თანახმად ეკლესია და სამრეკლო მდებარეობდა, მიმდებარე უბანს კი ახლაც სარეკელა ეწოდება. აღსანიშნავია, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე დღემდე არ ჩატარებული საფუძვლიანი არქეოლოგიური და ისტორიული კვლევები. სამრეკლოს ტერიტორიაზე გასული საუკუნის შუა პერიოდში აღმოჩენილი ქვის რელიეფური სტელა კი, რომელსაც საეკლესიო დანიშნულება ჰქონდა, ამჟამად ბათუმის მუზეუმში ინახება.

ბილიკიდან პანორამული ხედები იშლება მესხეთის, შავშეთის, არსიანის ქედებსა და გოდერძის უღელტეხილზე, ასევე მდინარეების აჭარისწყლისა და ღორჯომის ხეობებზე.

სერვისი	საკონტაქტო ნომერი
საოჯახო სასტუმრო ოაზისი	598091685

საკონტაქტო პირი სოფელში

მერაბ პაქსაძე - ისტორიკოსი - 591715918

## 2.2 კორტოხის ჩხრიალოს ჩანჩქერი

მუნიციპალიტეტი: ხულო

მარშრუტის სახეობა: სათავგადასავლო

მარშრუტის ტიპი (ველო, საფეხმავლო, კომბინირებული, off-road): საფეხმავლო

კატეგორია (წრიული, გამჭოლი, ხაზოვანი): ხაზოვანი

გზის სახეობა: სასოფლო გრუნტის, საფეხმავლო ბილიკი

მარშრუტის სირთულე (მარტივი, საშუალო, რთული): მარტივი

სამოგზაურო პერიოდი: წლის ნებისმიერი დრო

მარშრუტის სიგრძე (კმ): 4.4 კმ

მარშრუტის ხანგრძლივობა: 2 სთ და 30 წთ

სიმაღლე ზღვის დონიდან (მ): საწყისი/უმაღლესი/საბოლოო: 1285/1305/1285

მარშრუტის ღირსშესანიშნაობები: ჩხრიალოს დიდი და პატარა ჩანჩქერები, პანორამული ხედები მესხეთისა და შავშეთის ქედებზე, მდინარეების აჭარისწყლისა და ღორჯომის ხეობაზე, გოდერძის უღელტეხილზე

არსებული ინფრასტრუქტურა: ხულო-ახალციხის გზაზე, კორტოხის მეზობელ სოფელ ღურტაში არის საოჯახო სასტუმრო ოაზისი

მობილური ზონის დაფარვა: კი/არა: კი

მარკირებული: კი/არა: არა

### მარშრუტის აღწერა:

მარშრუტი იწყება კორტოხის ცენტრიდან ზღ.დ. 1285 მეტრზე და სამხრეთით მიუყვება გრუნტის სამანქანო გზას. 600 მეტრის გავლის შემდეგ, რომელიც ჯერ გრუნტის ხოლო შემდეგ საცალფეხო ბილიკს მიუყვება, ვდგებით მყარი საფარის გზაზე. გზიდან აღმოსავლეთის მიმართულებით იწყება საშუალო დახრილობის საცალფეხო ბილიკი, ჩავდივართ მდინარის ხეობაში და ზღ.დ. 1157 მ-ზე მივადგებით ჩხრიალოს ჩანჩქერის სათავეს, საიდანაც პანორამული ხედები იშლება მესხეთის, შავშეთის, არსიანის ქედებსა და გოდერძის უღელტეხილზე, ასევე მდინარეების აჭარისწყლისა და ღორჯომის ხეობებზე.

აღსანიშნავია, რომ ჩანჩქერის სათავემდე ჩასასვლელი ბილიკი ქარაფის თავზეა და განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს.

უკანა გზაზე ამოვდივართ მაღალი დახრილობის მქონე ფერდობს და მივუყვებით მდინარის მარჯვენა ნაპირს, საიდანაც 150 მეტრში ვხვდებით პატარა ჩხრიალოს ჩანჩქერს. მისი სიმაღლე დაახლოებით 11 მეტრია.

პატარა ჩანჩქერის ნახვის შემდეგ მალევე ვკვეთთ მდინარეს, ამოვდივართ ხეობიდან და ვიწყებთ მოძრობას ჩხრიალოს ჩანჩქერისკენ. საფეხმავლო ბილიკი მიუყვება ტყეს, რომელშიც ჭარბობს წიწვოვანი ხეები. ჩხრიალოს ჩანჩქერზე ჩასასვლელ გზაზე გვხვდება მაღალი დახრილობის მქონე რამდენიმე მონაკვეთი. პატარა ჩანჩქერიდან 900 მეტრის გავლის შემდეგ მივადგებით ჩხრიალოს ჩანჩქერს, რომელიც ზღ.დ 1083 მ-ზეა, ხოლო მისი სიმაღლე დაახლოებით 70 მეტრია. წყალმცირობისას, წლის მშრალ პერიოდებში ჩანჩქერზე წყლის ნაკადი იკლებს.

სერვისი	საკონტაქტო ნომერი
საოჯახო სასტუმრო ოაზისი	598091685

### 3. ფუშრუკაული

სოფ. ფუშრუკაული მდ. სხალთის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. ხულოს რაიონული ცენტრიდან 24 კმ-ში. სახელი სოფლის გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარეობს (ფუში დიდ მუცელს ნიშნავს).

ზომლეთი-ხიხაძირის ცენტრალური გზიდან გადახვევისთანავე აღმოჩნდებით სოფელ ფუშრუკაულში. იგი ორ ხეობას შორის, შემადლებულ ადგილას, ნამანსერის ქედის სამხრეთ ფერდობაზეა გაშენებული. სოფელს მთელი დღის განმავლობაში მზის სხივები არ სცილდება. მდინარე წაბლიდელე სოფელს დასავლეთიდან ჩამოუდის და დიდი ვარდნით გამორჩევა, რაც მასზე ჩანჩქერების არსებობას განაპირობებს.

ჩანჩქერებამდე მისასვლელი გზა თავიდან სოფლის ორღობეებს მიუყვება, საიდანაც შეგიძლიათ ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელ გარემოს დააკვირდეთ, გზადაგზა კი ხედებით დატკბეთ შერთულის ქედსა და მდინარე სხალთის ხეობაზე. სოფლის ბოლო სახლიდან მალევე გზა საცალფეხო ბილიკით იცვლება და ხეობაში შედის. ხეობა მეტად ვიწრო და ღრმაა; მისი ფერდობები ნაძვისა და სოჭის ხელუხლებელი კორომითაა დაფარული. ვიწრო ბილიკი მარადმწვანე ტყეს ჰარმონიულად მიუყვება, შიგადაშიგ ტყეში მზის ათინათები იჭრება, ზოგიერთ ადგილას კი ბილიკი ქარაფზე გადის და მოლაშქრეებს პანორამული ხედებით დატკბობის საშუალებას აძლევს.

ჩანჩქერებამდე მიმავალი გზა მარტივი და სასიამოვნო გასავლელია.

#### 3.1 ფუშრუკაულის ჩანჩქერები

მუნიციპალიტეტი: ხულო

მარშრუტის სახეობა: სათავგადასავლო

მარშრუტის ტიპი (ველო, საფეხმავლო, კომბინირებული, off-road): საფეხმავლო

კატეგორია (წრიული, გამჭოლი, ხაზოვანი): ხაზოვანი

გზის სახეობა: სასოფლო გრუნტის, საფეხმავლო ბილიკი

მარშრუტის სირთულე (მარტივი, საშუალო, რთული): მარტივი

სამოგზაურო პერიოდი: აპრილი-ნოემბერი

მარშრუტის სიგრძე (კმ): 5.7 კმ

მარშრუტის ხანგრძლივობა: 2 სთ და 40 წთ

სიმაღლე ზღვის დონიდან (მ): საწყისი/უმადლესი/საბოლოო: 964/1295/964

მარშრუტის ღირსშესანიშნაობები: ფუშრუკაულის ჩანჩქერი

არსებული ინფრასტრუქტურა: ფუშრუკაულიდან 13 კმ-ში სოფელ ყინჩაურში - საოჯახო სასტუმრო „სხალთა“

მობილური ზონის დაფარვა: კი/არა: კი

მარკირებული: კი/არა: არა

### მარშრუტის აღწერა

მარშრუტის იწყება ზღ.დ. 964 მ-ზე, სხალთის ხეობის ცენტრალურ გზასთან, სოფელი ფუშრუკაულიდან, რომელიც მდ. რაქეთისწყლის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. ბილიკი ჩრდილო-აღმოსავლეთით მიუყვება საშუალო დახრილობის მქონე სოფლის ბეტონის გზას. 1.6 კმ გავლის შემდეგ, ზღ.დ. 1200 მ-ზე საფეხმავლო ბილიკი შედის მდ. წაბლილელეს ხეობაში. ხეობაში ვხვდებით ნაძვისა და სოჭის უნიკალური ტყის კორომებს. ცხოველებიდან კი მიმდებარე ტერიტორიებზე გავრცელებულია გარეული ღორი, შველი, დათვი, მგელი, ტურა, მელა, კურდღელი. ბილიკიდან პანორამული ხედი იშლება შერთულის ქედის მთ. მაღალ მთაზე (2512მ).

900 მეტრის გავლის შემდეგ საფეხმავლო ბილიკი უხვევს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდინარის ვიწრო ხეობაში, მცირე მონაკვეთიანი აღმართის გავლის შემდეგ და ზღ.დ. 1366 მ-ზე გვხვდება ფუშრუკაულის პირველი ჩანჩქერი.

მეორე ჩანჩქერის სანახავად იგივე გზით ვბრუნდებით მთავარ ბილიკზე და გზას ვაგრძელებთ ჩრდილო-დასავლეთით, საიდანაც მუჭიწვოვნებს შექერისა და წყავის ქვე-ტყე ემატება. 150 მეტრის გავლის შემდეგ, ბილიკი რთულდება და მოძრაობას ვიწყებთ მდინარის კალაპოტში, 30 მეტრის გავლის შემდეგ კი გვხვდება ფუშრუკაულის მეორე ჩანჩქერი.

მეორე ჩანჩქერიდან ჩრდილოეთით, ზღ.დ. 1455 მ-ზე, მდებარეობს ფუშრუკაულის მესამე ჩანჩქერი, თუმცა, რადგან ჩანჩქერამდე მისასვლელი საფეხმავლო ბილიკი არ არსებობს, ხოლო იქამდე მისვლა მოითხოვს განსაკუთრებულ ფიზიკურ მომზადებასა და სპეციალურ აღჭურვილობას, გზის გაგრძელება არ არის რეკომენდირებული.

ფუშრუკაულის მეორე ჩანჩქერიდან ბილიკი იგივე გზით უბრუნდება საწყის წერტილს, მდ. სხალთის ხეობის ცენტრალურ გზას.

სერვისი	საკონტაქტო პირი	საკონტაქტო ნომერი
საოჯახო სასტუმრო სხალთა	იზოლდა სურმანიძე	591446609



## 4. ბაკო

სოფ. ბაკიბაკო (ბაკო) მდებარეობს აჭარის რეგიონის უკიდურეს აღმოსავლეთით, თურქეთის საზღვართან ახლოს, არსიანის ქედის კალთაზე, ხირხატისწყლის მარცხენა ნაპირზე, ხულოს რაიონული ცენტრიდან 43 კმ-ში. სოფელი დიდი წყალგამყოფი ქედებით არის შემოსაზღვრული.

ბაკოს ტურისტებისთვის განსაკუთრებულად მოსახერხებელი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს. სოფელთან ყველაზე ახლოს მდებარეობს უმნიშვნელოვანესი ისტორიული ხიხანის ციხე. ბაკოში, სერი ყანაზე, მოჰკვეთეს თავი სელიმ ხიმშიაშვილს, ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერს.

არსიანისა და შავშეთის ქედებით შემოსაზღვრული ბაკო ხშირი მარადმწვანე ტყეებითა არის დაფარული, სიმაღლის მატებასთან ერთად ულამაზესი პანორამული ხედები იშლება სხვადასხვა მთებზე; ტყეს კი ნელ-ნელა ალპური მდელოები ცვლის. სწორედ ალპურ მდელოებზე მდებარეობს ადგილი სარიჩაირი, რომელიც ბაკოელების საზაფხულო იაილებს წარმოადგენს. ბაკოსა და სარიჩაირს შორის, გზად მდებარეობს საჩხერელას ჩანჩქერები. ძალიან ვიწრო, კლდოვან ხეობაში ულამაზესი 2 წყალვარდნილია. ჩანჩქერებამდე ჩასასვლელი გზა დამატებით სამთო აღჭურვილობას მოითხოვს, თუმცა მათი დანახვა შორიდანაც არანაკლები სიამოვნებაა - მარადმწვანე ტყით დაფარულ კლდეებს შორის, ათეულობით მეტრის სიმაღლიდან, წყლის ნაკადი ხეობაში სწრაფად და ძლიერად ეშვება.

ბაკოდან უმოკლესი გზა გადადის, შუამთის ტბებზე, კურორტ ბემუმსა და გოდერძის უღელტეხილზე. სოფლიდან ტურისტული ბილიკით შესაძლებელია მთა ჩირუხზე გადასვლა, რომელიც შუახევის მუნიციპალიტეტში მდებარეობს და ბაკოსგან შერთულის ქედითაა გამოყოფილი.

ბაკოს მეზობელი სოფელი მთისუბანი (ქოჩახი) კი თხილვანას თემში, არსიანის ქედის დასავლეთ კალთაზე მდებარეობს, ხულოდან 45 კმ-ში. სოფელში არის ბუნებრივი საყინულე, რომელსაც ქვეყანაში ბევრი ანალოგი არ აქვს. აქვე ვხვდებით ქვეყნის მნიშვნელოვანი ისტორიული პიროვნების შერიფ ხიმშიაშვილისა და შერიფის დედის, დუდი-ხანუმ ბეჟანიძის, საფლავებს.

### 4.1. ბაკოს საჩხერელას ჩანჩქერი

**მარშრუტი #1: ბაკო-საჩხერელას ჩანჩქერი-ბაკო**

**მუნიციპალიტეტი:** ხულო

**მარშრუტის სახეობა:** სათავგადასავლო, შემეცნებითი

მარშრუტის ტიპი (ველო, საფეხმავლო, კომბინირებული, off-road): საფეხმავლო, off-road

კატეგორია (წრიული, გამჭოლი, ხაზოვანი): ხაზოვანი

გზის სახეობა: სასოფლო გრუნტის, საფეხმავლო ბილიკი

მარშრუტის სირთულე (მარტივი, საშუალო, რთული): საშუალო

სამოგზაურო პერიოდი: აპრილი-ოქტომბერი

მარშრუტის სიგრძე (კმ): 8.6 კმ

მარშრუტის ხანგრძლივობა: 3 სთ და 40 წთ

სიმაღლე ზღვის დონიდან (მ): საწყისი/უმაღლესი/საბოლოო: 1518 /1802/1518

მარშრუტის ღირსშესანიშნაობები: საჩხერელას ჩანჩქერი, სერი ყანა

არსებული ინფრასტრუქტურა: სოფ. ბაკოში არის ორი საოჯახო სასტუმრო

მობილური ზონის დაფარვა: კი/არა: კი

მარკირებული: კი/არა: არა

## მარშრუტი #2: ბაკო - საჩხერელას ჩანჩქერი - მთისუბანი - ბაკო

მუნიციპალიტეტი: ხულო

მარშრუტის სახეობა: სათავგადასავლო, შემეცნებითი

მარშრუტის ტიპი (ველო, საფეხმავლო, კომბინირებული, off-road): საფეხმავლო , off-road

კატეგორია (წრიული, გამჭოლი, ხაზოვანი): წრიული

გზის სახეობა: სასოფლო გრუნტის, საფეხმავლო ბილიკი

მარშრუტის სირთულე (მარტივი, საშუალო, რთული): საშუალო

სამოგზაურო პერიოდი: აპრილი-ოქტომბერი

მარშრუტის სიგრძე (კმ): 9.6 კმ

მარშრუტის ხანგრძლივობა: 4 სთ

სიმაღლე ზღვის დონიდან (მ): საწყისი/უმაღლესი/საბოლოო: 1518 /1802/1500

მარშრუტის ღირსშესანიშნაობები: საჩხერელას ჩანჩქერი, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილისა

და დუდი-ხანუმ ბეჟანიძის საფლავები, ბუნებრივი საყინულე

არსებული ინფრასტრუქტურა: სოფ. ბაკოში არის ორი საოჯახო სასტუმრო

მობილური ზონის დაფარვა: კი/არა: კი

მარკირებული: კი/არა: არა

### მარშრუტი #3: ბაკო - საჩხერელას ჩანჩქერი - მთისუბანი - თბილვანა

მუნიციპალიტეტი: ხულო

მარშრუტის სახეობა: სათავგადასავლო, შემეცნებითი

მარშრუტის ტიპი (ველო, საფეხმავლო, კომბინირებული, off-road): საფეხმავლო, off-road

კატეგორია (წრიული, გამჭოლი, ხაზოვანი): გამჭოლი

გზის სახეობა: სასოფლო გრუნტის

მარშრუტის სირთულე (მარტივი, საშუალო, რთული): საშუალო

სამოგზაურო პერიოდი: აპრილი-ოქტომბერი

მარშრუტის სიგრძე (კმ): 11.6 კმ

მარშრუტის ხანგრძლივობა: 4 სთ და 30 წთ

სიმაღლე ზღვის დონიდან (მ): საწყისი/უმაღლესი/საბოლოო: 1518 /1802/1385

მარშრუტის ღირსშესანიშნაობები: საჩხერელას ჩანჩქერი, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილისა და დუდი-ხანუმ ბეჟანიძის საფლავები, ბუნებრივი საყინულე

არსებული ინფრასტრუქტურა: ჩატეხილას საკარვე ადგილი, საოჯახო სასტუმროები ბაკოში

მობილური ზონის დაფარვა: კი/არა: კი

მარკირებული: კი/არა: არა

### მარშრუტის აღწერა

მარშრუტი იწყება სოფ. ბაკიბაკოდან და მიუყვება სამხრეთით გრუნტის სამანქანო გზას 3.8 კმ მანძილზე. გზა თავდაპირველად შერეულ, ხოლო შემდეგ წიწვოვან ტყეში მიდის. ბილიკიდან შესაძლებელია მაღალი გამავლობის მანქანით მთა ჩირუხსა და სარიჩაირზე გადასვლა. 3.8 კმ გავლის შემდეგ გზის პირად დგას ჩანჩქერ საჩხერელას ნიშანი და დასავლეთის მიმართულებით იწყება საფეხმავლო ბილიკი. მარტივი სირთულის 225 მეტრიან მონაკვეთს მივუყვებით მომდევნო ნიშნამდე, ხოლო შემდეგ მკვეთრი დაღმართით ვეშვებით ხეობაში, ვკარგავთ 130 მეტრს და ვადგებით ჩანჩქერის სათავეს, რომელიც ზღვის დონიდან 1758 მ-ზე მდებარეობს.

უკანა გზაზე ამოვდივართ ნიშნულამდე და მოძრაობას ვაგრძელებთ ჩრდილო-დასავლეთით ხეობისკენ, მკვეთრი დახრილობის ფერდობით. 140 მეტრის გავლის შემდეგ შესაძლებელია ჩანჩქერ საჩხერელას წყალვარდნილის დანახვაც. (მონაკვეთი მკვეთრი დაღმართიდან ჩანჩქერის თავამდე, ხოლო შემდეგ ხეობამდე სახიფათოა და განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს ტურისტის მხრიდან). მთლიანი მარშრუტის განმავლობაში, ხშირ ტყეში შესვლამდე შესაძლებელია პანორამული ხედებით ტკბობა არსიანის, შავშეთის, მესხეთისა და შერთულის ქედებზე.

უკან ვბრუნდებით იმავე გზით და 2.2 კმ გავლის შემდეგ ე.წ. ჩატეხილასთან შესაძლებელია პირდაპირ ბაკოში ჩასვლა, ან მარშრუტის გადახვევა მთისუბნისაკენ. ჩატეხილასთანვე გვხვდება საკარვე ადგილი და სასმელი წყარო. 2.3 კმ-ში შესაძლებელია ზღ.დ. 1509 მ-ზე მყოფი ბუნებრივი საყინულეს მონახულება. ბაკოდან მთისუბანში მოსახვედრად საჭიროა მდინარის გადაკვეთა, რომელზეც ხიდი არ არის. საყინულედან აღმოსავლეთით 630 მ-ში არის შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილისა და დედამისის დუდი-ხანუმ ბეჟანიძის საფლავები.

საფლავების მონახულების შემდეგ ტურისტს აქვს ორი არჩევანი: პირველი გულისხმობს სოფელ მთისუბნის გავლით თხილვანამდე, მთავარ გზამდე ჩასვლას. ამ შემთხვევაში ტურისტს მოუწევს 1.9 კმ-ის გავლა.

მეორე გზის არჩევის შემთხვევაში საცალფეხო 671 მეტრი სიგრძის ბილიკით, მდინარის ხეობის გავლით შესაძლებელია სოფელ ბაკოში დაბრუნება.

*!!!რადგან ბაკიბაკო საზღვრისპირა სოფელია, ჩანჩქერამდე მისასვლელად საჭიროა სპეციალური საშვის ქონა ვიზიტორებისათვის. საშვის დამზადების პროცედურებისა და ვადების სანახავად გაეცანით ბმულს: <http://bpg.gov.ge/ge/symbols>. თან იქონიეთ პირადობის მოწმობა/პასპორტი.*

აღნიშნული ბილიკის სამივე ვარიაციის გავლის შემთხვევაში სოფ. ბაკოს შესასვლელიდან შესაძლებელია დაუკავშირდეთ ხიხანის ციხისკენ მიმავალ ბილიკს, რომელიც თავის მხრივ გრძელდება შუამთის ტბებისა და კურორტ ბეშუმამდე.

*ხიხანის ციხის მიმართულებით გზის გაგრძელების შემთხვევაში თან უნდა იქონიოთ პირადობის მოწმობა/პასპორტი. ტერიტორიაზე შესასვლელ საშვს ადგილზე ამზადებენ.*

სოფ. თხილვანიდან შესაძლებელია off-road გზის გაგრძელება კურორტ გოდერძისა და მწვანე ტბის მიმართულებით.

სერვისი	საკონტაქტო პირი	საკონტაქტო ნომერი
საოჯახო სასტუმრო ხიხანი	დათო დუმბაძე	577150273
საოჯახო სასტუმრო ბაკო	მარინა დუმბაძე	593470540

## დასკვნა

ზემოსხენებული ლოკაციების კვლევის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტურისტული თვალსაზრისით ხულოს მუნიციპალიტეტი სტრატეგიულად საინტერესო ობიექტია. მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობა (ზღვისპირა კურორტებთან სიახლოვე, გურიასა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებთან დამაკავშირებელი გზების არსებობა), აქ არსებული რელიეფის ფორმები, სამთო-კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტები, მდინარეთა ხეობები, მწვერვალები, ტბები, ულამაზესი პეიზაჟები, ანთროპოგენული რელიეფის უნიკალური ფორმები, თვითმყოფადი სამზარეულო, სტუმართმოყვარე ხალხი თუ ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები მუნიციპალიტეტის მაღალ ტურისტულ პოტენციალს ქმნის. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტს წელიწადის ოთხივე სეზონზე შეუძლია საინტერესო ტურები შესთავაზოს მოგზაურს.

თუმცა ამ პოტენციალის ასათვისებლად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ძირითადი ინფრასტრუქტურის, პირველ რიგში კი მუნიციპალიტეტისა და შიდასასოფლო გზების მოწესრიგება, უკვე მოკვლეულ ტურისტულ ლოკაციებამდე მისასვლელი ბილიკების მოწყობა, მარკირება თუ საინფორმაციო დაფების დადგმა. ზემოთ აღწერილ და აქამდე მოკვლეულ ლოკაციებზე ეფექტურად დაგეგმილი სამუშაოების განხორციელების შემდგომ კი აქამდე ნაკლებად პოპულარული ადგილების მნიშვნელოვან ტურისტულ კერებად გადაქცევა შეიძლება.